


საპროექტო შენობის და ტერიტორიის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

თბილისი, მაყაშვილის ქუჩა N31
საპროექტო შენობის და ტერიტორიის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

საპროექტო ტერიტორიის აღწერა

საპროექტო ობიექტი მდებარეობს ქალაქ თბილისში, ვერის უბანში მაყაშვილის ქუჩა N31 [ნაკვეთი 71/18] ს/კ 01.15.02.071.027. მესაკუთრე შპს "სამშენებლო კომპანია მამისონი" ს/კ 205204250.

კოტე მაყაშვილის ქუჩა სულ ასი მეტრის სიგრძისაა. იწყება ზანდუკელის ქუჩიდან, მიემართება სამხრეთის მიმართულებით აღმა, სადაც მას კვეთს ბარნოვის და ერისთავ-ხოშტარიას ქუჩები, შემდეგ ქუჩა გრძელდება ისევ სამხრეთის მიმართულებით პოლიკარპე კაკაბაძის ქუჩამდე. ამ მონაკვეთში მაყაშვილის ქუჩიდან აღმოსავლეთის მიმართულებით იწყება ორი ქუჩა - გოგებაშვილის და გუნიას. მთავრდება მაყაშვილის ქუჩა მთაწმინდის ფერდთან და აქედან იწყება, როგორც აღინიშნა, პოლიკარპე კაკაბაძის ქუჩა მკვეთრი 90 გრადუსიანი მოსახვევით. ამ კუთხეშია განთავსებული საპროექტო-სარეკონსტრუქციო ობიექტი მაყაშვილის N31-ორსართულიანი, ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი ეზოთი, რომელიც აშენებულია მეოცე საუკუნის ბოლოს. წარმოადგენს ბლოკით აშენებულ, ორსართულიან, ცემენტის ხსნარით შელესილ ფასადიან საკმაოდ უსახო შენობას, ერთსართულიანი მინაშენით ჩრდილოეთის მხრიდან. მინაშენი მთლიანად კვეთს კარმიდამოს ტერიტორიას და გამოდის მაყაშვილის ქუჩაზე მინის ვიტრინით, სადაც ადრე მაღაზია ფუნქციონირებდა. მაღაზიის გვერდით განთავსებულია რკინის ჭიშკარი. საპროექტო ობიექტი მაყაშვილის ქუჩაზე გამოდის 12 მეტრიანი ფრონტით, რომელიც შედგება რკინის ჭიშკრისგან და მინის ვიტრინიანი მაღაზიისაგან. ორსართულიანი შენობა ეზოს სიღრმეშია და გარედან სილუეტად იკითხება. საპროექტო კარმიდამო სამი მხრიდან {ქუჩის მხარის გარდა} შემოსაზღვრულია საყრდენი კედლებით, რომლებშიც ზის საპროექტო-სარეკონსტრუქციო ნაგებობა. ჩრდილოეთის მხრიდან მას ესაზღვრება ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი აივნით მეორე სართულზე და მაღაზიით პირველ სართულზე. აშენებულია მეოცე საუკუნის ბოლოს. სამხრეთის მხრიდან საპროექტო ნაკვეთს ესაზღვრება ექვსსართულიანი კორპუსი [მაყაშვილის 29], რომელიც აშენდა ათი წლის წინ. ხოლო აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრება ეზო [თბილისური], რომელიც ზურგის მხრიდან ადგება საპროექტო ობიექტს შემაღლებით, ხუთი მეტრით მაღალ ნიშნულზე. საპროექტო ნაკვეთის აღმოსავლეთი მხარე, როგორც აღინიშნა, გამოდის მაყაშვილის ქუჩაზე და რადგან ობიექტი ქუჩების გადაკვეთის [მაყაშვილის და კაკაბაძის ქუჩები] კუთხეშია, ფრონტით უყურებს კაკაბაძის ქუჩას, თუმცა მდებარეობს ტერიტორიულად მაყაშვილის ქუჩაზე.

მოსახლეობა თვლის, რომ ეს ტერიტორია, მაყაშვილის და კაკაბაძის ქუჩები, ვერის უბანს ეკუთვნის, თუმცა კაკაბაძის ქუჩის მხოლოდ ნახევარია ვერაზე, მიხეილ ტვერელის სახელობის რუსულ ეკლესიამდე, შემდეგ იწყება მთაწმინდის უბანი. საერთოდ, დღევანდელი ქალაქის ოფიციალური დაყოფა რაიონებად არ შეესაბამება ძველ ისტორიულ დაყოფას უბნებად, მაგრამ მოსახლეობა, თბილისელები დღემდე ისევ ძველი მამა-პაპური წესით უბნებად ცხოვრობენ და იწოდებიან, ანუ არიან ვერელები, მთაწმინდელები, სოლოლაკელები, ვაკელები, საბურთალოელები, ხარფუხელები, ბალკელები და ასე შემდეგ.

თბილისი, 2019 წელი, მაყაშვილისა და კაკაბაძის ქუჩები ძეგლების დატანით



თბილისი, 1913 წლის რუკა



უბნის ისტორიულ-არქიტექტურული აღწერა

ვერის უბანი, როგორც ქალაქის ნაწილი არსებობს მეცხრამეტე საუკუნიდან. ჩვენი საპროექტო ობიექტი მდებარეობს ზემო ვერაზე, მთაწმინდის ფერდის ძირში, მაყაშვილის და კაკაბაძის ქუჩების ბოლოში. ეს ორი ქუჩა ერთმანეთს სწორი კუთხით ხვდება და იქვე მთავრდება.

პოლიკარპე კაკაბაძის ქუჩა - 1900-იან წლებში აგურის მესამე ქუჩის [დღევანდელი მაყაშვილის ქუჩა] ბოლოდან იწყებოდა წმინდა მიხეილ ტვერელის რუსულ ეკლესიამდე მისასვლელი გზა. ეკლესია აშენდა კავკასიის მეფისნაცვლის ილარიონ ივანეს-ძე ვორონცოვ-დაშკოვის მეუღლის, გრაფინია ელისაბედის თაოსნობითა და ფულადი შემწეობით 1905-1915 წლებში. ახალგაყვანილ გზას მის პატივსაცემად "ელისაბედის პროსპექტი" დაერქვა [დატანილია თბილისის 1913 წლის გეგმაზე]. ორმოცდაათი წლის შემდეგ, 1963 წელს მიხეილ ტვერელის ეკლესიიდან გზა მიიყვანეს მთაწმინდის ქუჩამდე. ამ ახალ გზას 1963 წლიდან, დავით აღმაშენებლის სახელი ეწოდა. 1995 წლიდან გადაერქვა პოლიკარპე კაკაბაძის ქუჩა, ხოლო დავით აღმაშენებლის სახელი ეწოდა ყოფილ პლეხანოვის ქუჩას.

კაკაბაძე პოლიკარპე [1893-1972] დრამატურგი ["ყვარყვარე თუთაბერი" 1928 წ.] დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

კონსტანტინე [კოტე] მაყაშვილის ქუჩა - ძველი თბილისის რაიონი ვერე, მიხეილ ზანდუკელის ქუჩიდან, პოლიკარპე კაკაბაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა მე-19 საუკუნეში, ადრე აგურის მესამე ქუჩა ერქვა, 1900 წლიდან გენერალ ტერ-გუკასოვის სახელი დაერქვა, დატანილია თბილისის 1900 წლის გეგმაზე. 1923 წლიდან დავით გურამიშვილის სახელობის გახდა, ხოლო 1965 წლიდან დღემდე კოტე მაყაშვილის სახელს ატარებს. ქუჩას აქვს ერთი ჩიხი. შემონახულია მეოცე საუკუნის დასაწყისის სახლები, მათ შორის რამდენიმე ძეგლის სტატუსს ატარებს. განსაკუთრებით ამშვენებს ქუჩას მაყაშვილის N10 აგურით ნაშენი საცხოვრებელი სახლი აგურისვე ღობით და პატარა ეზოთი. არქიტექტურული სტილი - მოდერნი. ამ სახლში მეოცე საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდა ცნობილი მწერალი გრიგოლ რობაქიძე.

მაყაშვილი კონსტანტინე [კოტე] ზაქარიას-ძე [1875-1927] პოეტი და საზოგადო მოღვაწე. მწერალთა კავშირის ერთერთი დამაარსებელი და თავმჯდომარე 1926 წლამდე. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

კოტე მაყაშვილი იყო მამა მარო მაყაშვილის 1901-1921], რომელიც მონაწილეობდა და დაიღუპა 1921 წლის 19 თებერვალს კოჯორთან წარმოებულ ბრძოლაში, რუსული, წითელი არმიის წინააღმდეგ. იმდროინდელმა ქართულმა პრესამ მას ქართველი ჟანა დარკი უწოდა.

თბილისში არსებობს მარო მაყაშვილის ქუჩაც.

მეოცე საუკუნის დასწყისში თბილისში სამი აგურის ქუჩა ყოფილა. პირველი აგურის ქუჩა -დღევანდელი ჭოველიძის [ყოფილი ბელინსკის] ქუჩა ვერის უბანში. მეორე აგურის ქუჩა -დღევანდელი კერესელიძის ქუჩა დიდუბეში. მესამე აგურის ქუჩა - დღევანდელი მაყაშვილის ქუჩა ვერის უბანში, ჩვენი საპროექტო კარმიდამოს ტერიტორია. იყო ასევე აგურის ჩიხი , ისიც ვერის უბანში. ამ ქუჩებს აგურის ერქვა, რადგანაც აქ აგურის ქარხნები ყოფილა განთავსებული.

აგურზე დიდი მოთხოვნილების გამო თბილისში ბევრი აგურის ქარხანა ყოფილა. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის მონაცემებით თბილისში სულ 210 ქარხანა იყო, მათ შორის 93 აგურის ქარხანა, თითქმის რაოდენობის ნახევარი. როგორც ჩანს, ზოგი აგურის

ქარხანა ვერის უბანშიც ყოფილა, კონკრეტულად კი ჩვენი საპროექტო ტერიტორიის ახლოს, აგურის მესამე ქუჩაზე. ამიტომაც, გასაკვირი არ უნდა იყოს აგურის შენობების სიმრავლე ამ უბანში და კერძოდ, მაყაშვილის ქუჩაზე. მაგალითად - მაყაშვილის N11 და N13, ასევე როგორც აღინიშნა, მოდერნის სტილში აშენებული მაყაშვილის N10, ყოფილი გრიგოლ რობაქიძის სახლი.

საერთოდ ვერის უბნის და კონკრეტულად მაყაშვილის ქუჩაზე არსებულ ნაგებობათა უმრავლესობა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და მეოცე საუკუნის დასაწყისშია აშენებული. არის მეოცე საუკუნის ბოლოს აშენებული კორპუსი და ერთბინიანი ორსართულიანი სახლები, ჩვენი საპროექტო ობიექტის მიმდებარედ. ასევე არის ძეგლის სტატუსის მატარებელი აგურის შენობები 2-3 სართულიანი, რომლებიც ჩვენი ობიექტიდან საკმარისი დაშორებითაა განთავსებული.

მაყაშვილის ქუჩის ურბანული სახის ჩამოყალიბებაში გეოგრაფიული [რელიეფი] და სოციალური ფაქტორების ერთობლიობა მოქმედებს. ქუჩა მთლიანად საცხოვრებელი სახლებითაა ორივე მხარეს მოშენებული და მისი სახის ჩამოყალიბებაში ამგვარ რელიეფს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. აღმართი იწყება ზანდუკელის ქუჩიდან და ბოლომდე კაკაბაძის ქუჩამდე გრძელდება, ანუ ორმხრივ სხვადასხვა პერიოდში აშენებული საცხოვრებელი სახლებით მოშენებული ქუჩა მთლიანად აღმართზეა განლაგებული და მის სახეს სწორედ ეს განაპირობებს.

საპროექტო ტერიტორიის [მაყაშვილის N31] მომიჯნავედ არც ძეგლია, არც რაიმე არქიტექტურული ღირებულების მქონე ნაგებობა, როგორც აღვნიშნეთ, მას ესაზღვრება ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი და ექვსსართულიანი საცხოვრებელი კორპუსი. ორივე მეოცე საუკუნის ბოლოსაა აშენებული. არც საპროექტო ობიექტია ძეგლი და ისიც მეოცე საუკუნის ბოლოსაა აშენებული. რაც შეეხება ქალაქის კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებს, ინდივიდუალური დამცავი ზონის რეჟიმი ჩვენს საპროექტო ობიექტს არ ეხება [ძეგლი არ არის და არც მომიჯნავე შენობებია ძეგლები]. ხოლო ზოგადი დამცავი ზონებიდან -ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონა მას არ ეხება, განაშენიანების რეგულირების ზონა ფარავს საპროექტო კარმიდამოს ნახევარს, ხოლო ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონაში მთლიანადაა მოქცეული საპროექტო შენობა და ტერიტორია. ასეთი სასტარტო პირობებია შექმნილი მოცემული ობიექტის [მაყაშვილის N 31] საპროექტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებისათვის.

დასკვნა და რეკომენდაციები

ამგვარად, ჩვენი საპროექტო ობიექტის ირგვლივ ტერიტორია წარმადგენს ძველი თბილისური უბნის - ვერის უბნის განაშენიანებას ორი ქუჩის მაყაშვილის და კაკაბაძის გადაკვეთის ლოკაციაზე. აქ მდგომი შენობები, რომლებიც განთავსებულია საპროექტო ობიექტის უშუალო გარემოცვაში, აშენებულია მეოცე საუკუნის ბოლოს, ატარებს ფონურ ხასიათს და რაიმე არქიტექტურული ღირებულებებით არ გამოირჩევა. მაყაშვილის [ძველი აგურის მესამე ქუჩა] ქუჩის ქვედა ნაწილში, ზანდუკელის ქუჩის სიახლოვეს, არის რამდენიმე ძეგლის სტატუსის მატარებელი აგურის მასალით ნაშენი შენობა, რომლებიც ჩვენი საპროექტო ობიექტიდან მოშორებითაა განთავსებული. ზოგადად, მაყაშვილის ქუჩის მასაშტაბი და პროპორცია ზომიერებით და გაწონასწორებულობით გამოირჩევა, რაც მას ძველი თბილისის სახასიათო ქუჩების რიგში აყენებს. ამიტომ ამ უბნის წინამდებარე

ისტორიულ -არქიტექტურული კვლევის გათვალისწინებით ისეთი საპროექტო-სარეკონსტრუქციო და შემდგომში სამშენებლო სამუშაოების განხორციელებაა საჭირო, რომელიც უმტკივნეულოდ ჩაეწერება მოცემულ ურბანულ გარემოში. კერძოდ, სასურველია, მხედველობაში გვქონდეს შემდეგი გარემოებები:

- მაყაშვილის N 31 არსებული შენობა, რეკონსტრუქციის შემდეგ, არ უნდა აღემატებოდეს სამ სართულს, რომ არ დაირღვეს ქუჩის განაშენიანების მასშტაბი;
- ვინაიდან საპროექტო შენობა ეზოს სიღრმეშია, ხოლო ქუჩაზე გამოდის ღობე, სხვა ამ ქუჩაზე არსებული შენობების ანალოგიით და ისტორიული მემკვიდრეობის გათვალისწინებით, რეკომენდირებული იქნება ისტორიული აგურის მესამე ქუჩაზე, სადაც რამდენიმე ისტორიული აგურის შენობა დგას დღესაც, სარეკონსტრუქციო ობიექტი აშენდეს აგურის ფასადებით, მოდერნული და კლასიცისტური სტილებისთვის დამახასიათებელი ელემენტების ზომიერი გამოყენებით. შენობა ეზოს სიღრმეშია განთავსებული და ქუჩიდან სილუეტად წაიკითხება. რაც შეეხება ღობეს, ისიც აგურის მასალით უნდა აშენდეს, ალბათ ლითონის ელემენტების ჩართვით და სტილის დაცვით.
- გარან ტირებული უნდა იყოს მშენებლობის ხარისხი.

ყოველივე ამის გათვალისწინებით შენარჩუნდება უბნის ურბანული და კონკრეტული ლოკაციის - მაყაშვილის N31 არქიტექტურული სახე.

ხელოვნებათმცოდნე **ნინო ჯინჭარაძე**